ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 334

“ 6 ” ნოემბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ქუჩა მარუაშვილი, №50-ში (საკადასტრო კოდი: №01.16.02.014.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი ოვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, მარუაშვილის ქუჩა №50-ში (საკადასტრო კოდი: №01.16.02.014.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი გაწკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 26 ოქტომბრის №20.1260.1565 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, მარუაშვილის ქუჩა №50-ში, მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.16.02.014.010) ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

დანართი №1

ქ.თბილისი, მარუაშვილის №50

№	სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ფართი (კვ.მ)	სართული	საკადასტრო კოდი
1	ლიანა როყვა	33001065734	53.03 49.27	მე-3 სარიოული მე-4 სართული	01.16.02.014.010.01.542 01.16.02.014.010.01.549
2	ლუბა კოხრეიძე	37001054749	54.04	მე-3 სართული	01.16.02.014.010.01.603